ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 7-16

"22" დეკემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილი იქნას ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ფუნქციური ზონები




14
23
2
10
28
5
4
11
26
25
16
8
1
19
3
7
6



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) (არსებული ზონა **266** კვ.მ.)

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) (კორექტირებული ზონა **266** კვ.მ.)

25. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.025.062), (266 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საცხოვრებელი ზონა 3 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 19.10.2017 წლის ოქმი #42), განმცხადებელი.: შ.გელაშვილი.

AR1548729.